

ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების ღონისძიებების შესახებ;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. შ.პ.ს. „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-ის ბალანსზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული პარკის ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის განხილვის თობაზე;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: თ. ქობალია- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა
და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

3. სხვადასხვა საკითხები

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურისა
განვითარების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N6**

ქ.ზუგდიდი

**13 ივნისი 2016 წელი
13:00 სთ-ზე**

2016 წლის 13 ივნისს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: თ.მარკოზია, ს.გოგოხია, რ.თორდია, მ.წოწერია; ზ.ხუბუა, თ.თორდია, ე.ახალაია, გ.სორდია, ვ.სურმავა, მ.ხვიჩია, რ.ფიფია, ლ.თოდუა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გ.ნაჭყებია

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: ნატალია პაპასკირი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი თ. ქობალია

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადეობასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლ.ფეტელავა

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 13 წევრიდან 12 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე თემურ მარკოზია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების ღონისძიებების შესახებ;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. შ.პ.ს. „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-ის ბალანსზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული პარკის ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის განხილვის თობაზე;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: თ. ქობალია- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

3. სხვადასხვა საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და

ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

აზრი გამოთქვას: კომისიის თავმჯდომარემ თ. მარკოზიამ გააცნო კომისიის წევრებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის (პლაკატები, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატებისთვის განთავსდეს სპეციალური სტენდები;
2. აიკრძალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსება შენობა-ნაგებობების ფასადზე, გარდა სპეციალურად დამზადებული სტენდებისა.
3. წინასაარჩევნო შეხვედრებისათვის გამოყოფილ იქნას ქ.ზუგდიდის ჯანაშიას ქუჩა N12 ში მდებარე ააიპ „კულტურის ცენტრი ოდიშის“ კულტურის ცენტრის დარბაზი.
4. დაევალოს არასმეწარმეო იურიდიული პირის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრს“ საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების გამზადებისა და დამონტაჟების უზრუნველყოფა.
5. დაევალოს საკრებულოს აპარატს საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.
6. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.
7. განკარგულების შესახებ ეცნობოს ზუგდიდის N67 საოლქო საარჩევნო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დაადგინეს: საკითხი გატანილ იქნეს ბიუროზე შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 31 მაისს N02/2214 (სარეგ. N 498/03) შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვა ,რომელიც შეეხება შ.პ.ს. „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-ის ბალანსზე არსებული პარკის შესაბამისი ინფრასტრუქტურით ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: თ. ქობალიას განმარტებით ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს სკეიტ პარკის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, ვინაიდან ყოფილი მუნიციპალიტეტის ქონების გაყოფის დროს , ქონების დანაწილების კომისიას გამორჩა ქ.ზუგდიდი ზვ. გამსახურდიას გამზირ N 10-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული პარკის შესაბამისი ინფრასტრუქტურით ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა.

სკეიტ პარკი შ.პ.ს. „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-ის ბალანსზე ირიცხება, მიწა არის ქ. ზუგდიდის მერიის საკუთრება , ხოლო მასზე არსებული შენობა-ნაგებობა ,ინფრასტრუქტურა და მრავალწლიანი ნარგავები არის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული შპს-ს საკუთრება.

აზრი გამოთქვას: მ.ხვიჩიას თქმით აღნიშნული პარკი ქალაქის მერიას გადაეცეს სარგებლობაში და არავითარ შემთხვევაში საკუთრებაში.

დაადგინეს: სკეიტ პარკი არსებობის ვადით გადაეცეს ქალაქ ზუგდიდის მერიას უსასყიდლოდ სარგებლობის ვადით, რადგან ქონების შესახებ კანონი და თვითმმართველობის შესახებ კანონი არ იძლევა უფლებას ეს ქონება საკუთრებაში გადაეცეს მერიას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა;

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა
გამოცხადდა დახურულად;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და
ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

თ.მარკოზია